



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი დებულება



შინაარსი

პრეამბულა. მოქმედი შემოკლებები და განმარტებები 3

მუხლი 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები. რეგულირების სფერო..... 4

მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)..... 4

1. პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება; 2. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები; 3. პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა; 4. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; 5. პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი). პროგრამის კომპონენტის სილაბუსი; 6. ზოგადი მოთხოვნები პროგრამისადმი; 7. პროგრამის სტრუქტურა. პროგრამის კომპონენტები; 8. სწავლების ენა; 9. სწავლების მეთოდები; 10. პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის და შესაძლებლობის უზრუნველყოფა; 11. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა; 12. პროგრამაზე სწავლის უფლება; 13. პროგრამის სწავლის შედეგები. კურსდამთავრებულის კომპეტენციები; 14. პროგრამით სწავლის დასრულება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მუხლი 3. სტუდენტის დატვირთვა. სასწავლო განრიგი 8

1. კრედიტი. პროგრამის მოცულობა; 2. სწავლის ხანგრძლივობა. სწავლის ვადის გაგრძელება (დამატებითი სემესტრი); 3. სტუდენტის დატვირთვა. სასწავლო განრიგი; 4. ინდივიდუალური სასწავლო განრიგი; 5. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების საცურაო პრაქტიკა

მუხლი 4. სტუდენტის შეფასება..... 10

1. შეფასების ძირითადი პრინციპები და მიზნები; 2. შეფასების წესი; 3. აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA

მუხლი 5. მობილობა, შიდა მობილობა 12

მუხლი 6. განათლების (კრედიტების) აღიარების წესი 12

მუხლი 7. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების მიღების უწყვეტობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა 17

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები..... 17

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის ნორმატიული დოკუმენტია;
2. წინამდებარე დებულება:
 1. შემუშავებულია ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
 2. დამტკიცებულია ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
 3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. წინამდებარე დებულება ვრცელდება ბნსუ-ის შემდეგ დოკუმენტებზე:
 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
 2. სასწავლო პროცესის განხორციელებაში/უზრუნველყოფაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
5. წინამდებარე დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
 3. ბნსუ-ს ფაკულტეტებზე (ელ.ვერსია).
6. დებულების ნორმატიული საფუძველი:
 1. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
 2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
 3. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
 4. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
 5. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
 6. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
 7. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
 8. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს შინაგანაწესი (ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება);
 9. ნდ №2-020101-01 – „სასწავლო უნივერსიტეტში შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა“;
 10. ნდ №2-020101-02 – „სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა“;
 11. ნდ №2-020101-03 – „სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“.

ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

ISO	-	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
ხს	-	ხარისხის სისტემა;
ECTS	-	კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
სდ	-	საინფორმაციო დოკუმენტი;
სსა	-	საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;

ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა(ა)ები;

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.



მუხლი 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი დებულება (შემდგომში - დებულება) შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) შინაგანაწესის საფუძველზე;
2. წინამდებარე დებულება არეგულირებს ბნსუ-ში უმაღლესი განათლების ბაკალავრისტის და მაგისტრატურის საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - ბაკალავრიატის/მაგისტრატურის პროგრამა ან პროგრამა) შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდა-საუნივერსიტეტო აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
4. ბნსუ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. სტუდენტები და მაგისტრანტები (შემდგომში - სტუდენტები), საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)

1. პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება

1. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს ფაკულტეტი, რომელიც ასევე ახდენს მოქმედი პროგრამების მოდიფიცირებას (ცვლილებების შეტანას). პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი ან აკადემიური/ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული პირი. ამ პროცესში მონაწილეობენ პოტენციური დამსაქმებლები - ბნსუ-ს პარტნიორი დაწესებულებები და შეიძლება იყვნენ ჩართულნი ბნსუ-ს პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებები. პროგრამის პროექტი ფაკულტეტის დეკანის მიერ გადაეცემა ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტებთან და ბნსუ-ს წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამის პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ამ შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას - ხდება მათი გასწორება ან გათვალისწინების გარეშე, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, აკადემიური საბჭოსთვის პროგრამის პროექტის გადაცემა. ფაკულტეტის საბჭოს და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განსხვავებული ხედვის შემთხვევაში აკადემიური საბჭო შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს. აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამის პროექტს და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამტკიცების/დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილება პროგრამის დამტკიცების შესახებ მიიღება თუ პროგრამა შეესაბამება საქართველოში მოქმედ და საქრთველობის (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) სტანდარტებს, მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები და სხვ. პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ბნსუ-ს ბიუჯეტიდან;
2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს წინადადება ახალი პროგრამის შემუშავების, არსებული პროგრამის მოდიფიცირების ან გაუქმების შესახებ. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის შემუშავების, პროგრამის მოდიფიცირების, გაუქმების/გაუქმებაზე უარის თქმის, დამტკიცების/დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. ახალი პროგრამის შემუშავების მიზანია პრიორიტეტულ მიმართულებებში ბნსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველზე პროგრამის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნა (ერთობლივი/გაცვლითი პროგრამების შემთხვევაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტების, განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, რეკომენდაციები ან/და სხვ. პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს მისიასთან და/ან საგანმანათლებლო პრიორიტეტებთან შეუსაბამობა (მისიაში და/ან პრიორიტეტებში შესული ცვლილებების გამო), პროგრამის არარენტაბელურობა, რამდენიმე წლის განმავლობაში სტუდენტთა კონტინენტის არარსებობა ან/და სხვ.

2. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები

1. პროგრამის ხელმძღვანელობა ითვლება დამატებით აკადემიურ პასუხისმგებლობად, რომელსაც ახორციელებს პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, მისი კომპეტენცია შეიძლება დასტურდებოდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით ან/და პროფესიული გამოცდილებით. პროგრამის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი), რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი კურორებს პროგრამის განმახორციელებლების (შემდგომში - პროგრამის პერსონალი) საქმიანობას, ახდენს პროგრამის სისტემატურ ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, დახმარებას და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის, ფაკულტეტის დეკანის და ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;
2. პროგრამის ახორციელებს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) და მოწვეული პერსონალი (მოწვეული სპეციალისტები), მათი შერჩევა ხდება კანონმდებლობის მოთხოვნების და ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით, სპეციალური განათლებით/მოზრადებით, პროფესიული გამოცდილებით, სამეცნიერო პუბლიკაციებით.

3. პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესის მონიტორინგის, გამოკითხვის, გასაუბრების და მოსაზრებების შესწავლის შედეგები. პროგრამის პერსონალი და სტუდენტები აფასებენ სასწავლო პროცესს, პროგრამას და სხვ. ასევე, სტუდენტები აფასებენ პროგრამის პერსონალს. პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები აფასებენ პროგრამის აქტუალობას, შინაარსს, მიზნებს და დაეგმილ შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას და სხვ. დასაქმების ხელშეწყობი ფაქტორების დადგენის მიზნით ხდება კურსდამთავრებულთა მოსაზრებების შესწავლა. მონიტორინგის შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების, წინადადებების და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება პროგრამის სრულყოფის მექანიზმები. პროგრამის შეფასებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა ინდიკატორები, მათი დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით. ინდიკატორთა ნაწილის გა-



მოყენება შესაძლებელია პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე, ნაწილის კი - პროგრამის განხორციელების პროცესში, მაგ.:

- პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა (სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამაზე მობილობით გადმოსული და მობილობით გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამაზე ჩარიცხულთა და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო რაოდენობა (წლების მიხედვით);
- პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომების GPA-ს საშუალოარითმეტიკული მაჩვენებელი;
- სპეციალობით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა, შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებელთა მიერ მათთან დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციების დონის შეფასება და სხვ.;
- პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების გამოკითხვების და შეფასებების ანალიზი;
- პროგრამის შეფასება SWOT-ანალიზის მეშვეობით.

4. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის საჯაროობის მიზნით პროგრამების ჩამონათვალი და კატალოგის ელ.ვერსია ატვირთულია ბნსუ-ს ვებგვერდზე, კატალოგი ამონაბეჭდის სახით არის ფაკულტეტებზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, ბნსუ-ს ვებგვერდზე ატვირთულია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების, სწავლის საფასურის, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების, სასწავლო პროცესის და განრიგის შესახებ, ბნსუ-ს საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. ბნსუ-ში სწავლის მსურველს და სტუდენტს კონსულტაციის გაუწევინებს ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი.

5. პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი). პროგრამის კომპონენტის სილაბუსი

1. პროგრამის აღწერილობაში (კურიკულუმში) უნდა იყოს მითითებული: პროგრამის დასახელება; უმაღლესი განათლების საფეხური; პროგრამის მიმართულება, სპეციალობა/სპეციალიზაცია (მაგისტრატურის შემთხვევაში); მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებით; სწავლების ენა; პროგრამაზე მიღების წინაპირობები; პროგრამის მიზნები; დაგეგმილი შედეგები; სწავლა/სწავლების მეთოდები; სტუდენტის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა; კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები; კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. კურიკულუმს უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის ყველა კომპონენტის მითითებით), ინფორმაცია პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტის პროგრამები (სილაბუსები);

2. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული: პროგრამის კომპონენტის დასახელება; პროგრამის დასახელება; უმაღლესი განათლების საფეხური; სწავლების ენა; სილაბუსის ავტორი და სკონტაქტო ინფორმაცია; კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; მიზნები; დაგეგმილი შედეგები; შინაარსი; სწავლა/სწავლების მეთოდები; სტუდენტის შეფასების სისტემა; სასწავლო კურსის შემთხვევაში - სავალდებულო (ძირითადი) და დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა და სხვა რესურსები (არსებობის შემთხვევაში);

3. ზემოთ მითითებულის გარდა, კურიკულუმში და სილაბუსში შეიძლება შეიცავდეს სხვა ინფორმაციასაც;

4. ბნსუ-ში მოქმედებს კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები, რომლებიც აღწერენ მთლიანად პროგრამის, ისე მისი კომპონენტების განხორციელების ყველა ასპექტს.

6. ზოგადი მოთხოვნები პროგრამისადმი

1. საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) არის კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი კომპონენტების ერთობლიობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიზნების და დაგეგმილი შედეგების მიღწევას კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხურის აღმწერით და დარგობრივი მაჩვენებლებით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული დონით. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს მისიას, იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად და ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამის კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობა უნდა იყოს ლოგიკური და უზრუნველყოფდეს ცოდნის გადაცემას პრინციპით „ზოგადიდან - კონკრეტულამდე, მარტივიდან - რთულამდე“;

2. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მხოლოდ სასწავლო კომპონენტებს. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (სასწავლო კურსები, პრაქტიკა) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი). სასწავლო კომპონენტები ერთმეცხრეა-ნია - ხორციელდება და ფასდება ერთსა და იმავე სემესტრში. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

7. პროგრამის სტრუქტურა. პროგრამის კომპონენტები

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა: პროგრამას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა: ა) ძირითადი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და თავისუფალი კომპონენტები (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი); ბ) ძირითადი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი), დამატებითი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და თავისუფალი კომპონენტები (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი); გ) ძირითადი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და ორი დამატებითი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი). ძირითადია სპეციალობა (არანაკლებ 120 კრედიტისა; სასწავლო კურსები, პრაქტიკა და/ან საბაკალავრო ნაშრომი), რომელშიც კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. დამატებით სპეციალობაში არ ხდება კვალიფიკაციის მინიჭება (შესწავლილი კომპონენტების დასახელებები, მიღებული კრედიტები და შეფასებები აისახება დიპლომის დანართში). პროგრამის თავისუფალი კომპონენტში მოიაზრება პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ (სხვა საბაკალავრო პროგრამიდან არჩეული სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები). პროგრამით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების, თავისუფალი კრედიტების და/ან დამატებითი სპეციალობის პროგრამის (თუ ეს გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურით) კონცენტრაციით სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მხოლოდ სასწავლო კომპონენტებს (სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი);

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა მოიცავს სასწავლო (სასწავლო კურსი, პრაქტიკა) და სამეცნიერო-კვლევით (სამაგისტრო ნაშრომი) კომპონენტებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტები შეიძლება იყოს არჩევითი ან სავალდებულო. სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულოა. არჩევითი სასწავლო კურსების კონცენტრაციით სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება.

3. პროგრამის კომპონენტები:

- სასწავლო კურსი - 1) სექსტრის ორგანიზება სილაბუსის შესაბამისად: ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუ-



შაობა და/ან სხვ., შუალედური (ე.წ. „მიმდინარე“) შეფასებები (I-VII, X-XV), შუალედური გამოცდა და შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა (VIII-IX კვირა), დამოუკიდებელი მუშაობით დასკვნითი გამოცდებისთვის მზადება (XVI), დასკვნითი გამოცდა (XVII-XVIII კვირა), დამატებითი გამოცდა (ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში); 2) სტუდენტის შეფასება: შეფასების შუალედური ფორმა (max 60 ქულა) მოიცავს ე.წ. „მიმდინარე შეფასებებს“ (max 40 ქულა, max 8 შეფასება) და შუალედურ გამოცდას (max 20 ქულა), დასკვნითი შეფასების ფორმა მოიცავს დასკვნით გამოცდას (max 40 ქულა). შუალედური გამოცდა მოიცავს გამოცდის ჩატარების მომენტისთვის შესწავლილ მასალას, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები - მთელ შესწავლილ მასალას. ბნსუ-ში გამოცდისთვის დროის ლიმიტია დადგენილი. გამოცდები შეიძლება ჩატარდეს ორშაბათი-შაბათის პერიოდში, ცხრილი განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე; 3) სასწავლო კურსების განხორციელებასთან და სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები მითითებულია სილაბუსში;

- პრაქტიკა - 1) სემესტრის ორგანიზება სილაბუსის შესაბამისად: პრაქტიკის ობიექტზე მუშაობა, შუალედური შეფასებები და სხვ. (I-XVI კვირა), ანგარიშის საჯარო დაცვა/დასკვნითი გამოცდა (XVII-XVIII კვირა), დამატებითი დაცვა/გამოცდა (ტარდება საჯარო დაცვის/დასკვნითი გამოცდის შემაჯამებელი ქულია გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში); 2) სტუდენტის შეფასება: შეფასების შუალედური ფორმა (max 60 ქულა) მოიცავს მენტორის მიერ სტუდენტის შეფასებებს, ხოლო დასკვნითი შეფასების ფორმა (max 40 ქულა) მოიცავს გამოცდას, რომელიც თავს მხრივ მოიცავს პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას (ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, max 20 ქულა) და დაცვას (ტარდება პრეზენტაციის ფორმით, ფასდება დაცვის კომისიის მიერ, max 20 ქულა). პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ხდება საჯარო დაცვის კომისიის წინაშე პრეზენტაციის ფორმით. ბნსუ-ში საჯარო დაცვისთვის (პრეზენტაციის წარდგენისთვის) დროის ლიმიტია დადგენილი. დაცვები შეიძლება ჩატარდეს ორშაბათი-შაბათის პერიოდში, ცხრილი განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე; 3) პრაქტიკის განხორციელებასთან და სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები მითითებულია პრაქტიკის სილაბუსში.
- საბაკალავრო ნაშრომი - 1) სემესტრის ორგანიზება სილაბუსის შესაბამისად: საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა, შუალედური შეფასებები და სხვ. (I-XVII კვირა), ნაშრომის საჯარო დაცვა (XVIII კვირა), დამატებითი დაცვა (ტარდება ნაშრომის და საჯარო დაცვის შემაჯამებელი ქულის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში); 2) სტუდენტის შეფასება: შეფასების შუალედური ფორმა (max 60 ქულა) მოიცავს ნაშრომის ხელმძღვანელს მიერ სტუდენტის შეფასებებს, ხოლო დასკვნითი შეფასების ფორმა (max 20 ქულა) მოიცავს გამოცდას, რომელიც თავს მხრივ მოიცავს უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას (max 20 ქულა) და მის საჯარო დაცვას (ტარდება პრეზენტაციის ფორმით, ფასდება დაცვის კომისიის მიერ, max 20 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯარო დაცვის კომისიის წინაშე პრეზენტაციის ფორმით. ბნსუ-ში საჯარო დაცვისთვის (პრეზენტაციის წარდგენისთვის) დროის ლიმიტია დადგენილი. დაცვები შეიძლება ჩატარდეს ორშაბათი-შაბათის პერიოდში, ცხრილი განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე; 3) საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასთან და სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები მითითებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.
- სამაგისტრო ნაშრომი - 1) სემესტრის ორგანიზება სილაბუსის შესაბამისად: სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობა და სხვ. (I-XVII კვირა), ნაშრომის საჯარო დაცვა (XVIII კვირა); 2) სტუდენტის შეფასება: სამაგისტრო ნაშრომი არის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც ფასდება ერთი ფორმით – დასკვნითი შეფასებით (max 100 ქულა), რომელიც მოიცავს: ა) უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას – max 100 ქულა, რომელიც საბოლოო შეფასების max 98%-ს შეადგენს (ნაშრომი ფასდება საჯარო დაცვის კომისიის წევრების - დარგის სპეციალისტების მიერ ინდივიდუალურად, თითოეულის max შეფასება - 100 ქულა, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება (ქულა) წარმოადგენს შემფასებლების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალოარიტმეტიკულ სიდიდეს, და ბ) ნაშრომის ზეპირ წარდგენაში მიღებულ შეფასებას max 100 ქულა, რომელიც საბოლოო შეფასების max 2%-ს შეადგენს (ფასდება საჯარო კომისიის ყველა წევრის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯარო დაცვის კომისიის წინაშე პრეზენტაციის ფორმით. ბნსუ-ში საჯარო დაცვისთვის (პრეზენტაციის წარდგენისთვის) დროის ლიმიტია დადგენილი. დაცვები შეიძლება ჩატარდეს ორშაბათი-შაბათის პერიოდში, ცხრილი განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე; 3) სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან და სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები მითითებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.

4. პროგრამის კომპონენტების სრული ჩამონათვალი, შესწავლის წინაპირობები და თანმიმდევრობა, კრედიტების რაოდენობა და სხვ. ასახულია სასწავლო გეგმაში. პროგრამის კომპონენტების დასახელება, სტატუსი, სწავლების ენა, დამკვეთის წინაპირობები, კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, მიზნები და შედეგები, შეფასების სისტემა, სწავლების მეთოდები და პროგრამის კომპონენტის შესწავლასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ასახულია კომპონენტის სილაბუსში.

8. სწავლების ენა

ბნსუ-ში სწავლების ენა არის ქართული. დასაშვებია უცხოურ ენაზე პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება. პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

9. სწავლების მეთოდები

1. სწავლების მეთოდი არის ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. (მითითება სილაბუსში). სწავლების პროცესში ხდება სხვადასხვა მეთოდების და აქტივობების გამოყენება, მაგალითად:

- ახსნა-განმარტება – გულისხმობს კონკრეტულ საკითხის განმარტებას და დეტალურ განხილვას;
- დისკუსია/დებატები – გულისხმობს ინტერაქტიულ სწავლებას, მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა – გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებას და ჯგუფის მიერ დავალების ერთობლივად შესრულებას;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – გულისხმობს საწყის ეტაპად კონკრეტული პრობლემის გამოყენებას, მიმართულია მისი შესწავლა-შეფასებაზე, გადაჭრის გზების ძიებაზე და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრასა და შეფასებაზე;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – გულისხმობს სტუდენტების ურთიერთდახმარებას;
 - ევრისტიკული მეთოდი – გულისხმობს პრობლემის/ამოცანის პირობების ანალიზს, ძირითადი პრობლემის კერძო ასპექტებად დაყოფას, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა-შეფასებას, პრობლემის გადაწყვეტის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას და გადაჭრის თანმიმდევრული ეტაპების დადგენას;
- შემთხვევის ანალიზი (Case study) – გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირების დადგენას; • დემონსტრირება – გულისხმობს ინფორმაციის აუდიო- და/ან ვიზუალურ წარდგენას;



- გონებრივი იერიში (Brain storming) - გულისხმობს კონკრეტულ საკითხთან/პრობლემასთან და მის გადაჭრასთან დაკავშირებით აზრის, იდეის ჩამოყალიბებას, ახსნას და დასაბუთებას;
 - როლური და სიტუაციური თამაშები - მიმართულია სიტუაციის სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით არამხოლოდ კონკრეტულ, არამედ რთულ, განსხვავებულ სიტუაციაში ქცევის მოდელის შერჩევა-გამოყენებაზე;
 - ინდუქცია - გულისხმობს ინფორმაციის გადმოცემის პროცესში მსჯელობას კონკრეტულიდან/კერძოდან ზოგადისაკენ;
 - დედუქცია - გულისხმობს ინფორმაციის გადმოცემის პროცესში მსჯელობას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ/კერძოსაკენ;
 - ანალიზი - გულისხმობს კონკრეტული ინფორმაციის/პრობლემის შემადგენელ ასპექტად დაყოფას და შესწავლა-შეფასებას;
 - სინთეზი - გულისხმობს პრობლემის სხვადასხვა ფაქტორების/ასპექტების ერთი მთლიანის სახით ჩამოყალიბებას და ერთიან განილა-შეფასებას;
 - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - გულისხმობს თეორიული მასალის პრაქტიკულ ინტერპრეტაციას, მიმართულია პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-განვითარებაზე;
 - ელექტრონული სწავლება (E-learning) - დასწრებული (სწავლების პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო საათებში, სასწავლო მასალის გადაცემა ხდება ელექტრონული ფორმით); შერეული (სწავლების ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ნაწილი - საკონტაქტო საათებში); დისტანციური (სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დისტანციურად ელექტრონული ფორმით).
2. მეთოდები შეირჩევა პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით და მითითებულია სილაბუსებში. პროგრამის კომპონენტში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ ამ კომპონენტში დაგეგმილი შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - მთლიანად პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

10. პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის და შესაძლებლობის უზრუნველყოფა

1. არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა: პროგრამის სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში მითითებულია პროგრამის კომპონენტის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, შესწავლის წინაპირობები და სხვ. პროგრამების კურიკულუმების და პროგრამებით გათვალისწინებული კომპონენტების სილაბუსების ელ.ვერსიები ატვირთულია ბნსუ-ს სტუდენტთა ელ. ბაზაში და ბნსუ-ს ბიბლიოთეკის კომპიუტერებში, რაც უზრუნველყოფს არჩევანის გამჭვირვალობას;
2. არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა: პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების და „თავისუფალი კრედიტების“ (საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში) ჯამი აღემატება პროგრამის არჩევითი კომპონენტისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობას. წელიწადში 2-ჯერ (აკადემიური რეგისტრაციის დროს) სტუდენტი ირჩევს სასურველ სასწავლო კურსს (რეგისტრირდება მასზე). სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მას შეუძლია არჩევანის შეცვლა - რეგისტრაციის გაუქმება და მისთვის სასურველი სხვა სასწავლო კურს(ებ)ის არჩევა.

11. სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური/დამატებითი მუშაობა (მაგ., კონსულტაციები). ეს საათები არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტის კრედიტს და წარმოადგენს სტუდენტის მიღწევების გაუმჯობესების და შესასწავლი საკითხების უკეთ ათვისების ხელშეწყობის მექანიზმს. კონსულტაციები ტარდება სემესტრის განმავლობაში კონსულტაციების ცხრილით განსაზღვრულ დღეებში.

12. პროგრამაზე სწავლის უფლება

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). რანჟირების დოკუმენტში შესული პირი, რომელიც ვერ მოხვდა რექტორის ერთიან ჩარიცხვის აქტში დადგენილ ვადაში ბნსუ-სთვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია მიმართოს ბნსუ-ს ჩარიცხვის მოთხოვნით მომდევნო წლის ივნისამდე (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ნ (18.02.2011, მ.39, 3.6);
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის შედეგის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და ვადებში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში). ბნსუ-ში შიდაგამოცდა ტარდება სპეციალობაში. ბნსუ უფლებამოსილია დააწესოს და ჩაატაროს შიდა გამოცდა უცხოურ ენაში ან სხვ. ბნსუ-ში შიდაგამოცდები ტარდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის შედეგის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე;
3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრული წესით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის;
4. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად საზღვაო სფეროს პროგრამებით სწავლებისთვის საჭიროა ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევებისთვის. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge).

13. პროგრამის სწავლის შედეგები. კურსდამთავრებულის კომპეტენციები

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. კურსდამთავრებულის კომპეტენციები. საბაკალავრო პროგრამით მისაღწევ შედეგებს (კურსდამთავრებულის კომპეტენციებს) განსაზღვრავენ უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი და დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში). სწავლის შედეგი აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და მოიცავს 6 კრიტერიუმს: ცოდნა და გაგნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები;
5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. კურსდამთავრებულის კომპეტენციები. სამაგისტრო პროგრამით მისაღწევ შედეგებს (კურსდამთავრებულის კომპეტენციებს) განსაზღვრავენ უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერი და დარგობრივი მახასიათებელი (არსებობის შემთხვევაში). სწავლის შედეგი აღიწერება დარგობრივი და



ზოგადი კომპეტენციებით და მოიცავს 6 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები.

14. პროგრამით სწავლის დასრულება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა პროგრამის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესაბამისად მიიღო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა. პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით;
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა პროგრამის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესაბამისად მიიღო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა. პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „მაგისტრი“ შესაბამისი შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. აკადემიური ხარისხის მიანიჭების შემდეგ გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი.
3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა განათლების შესაბამისი საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების/მოდულების მოსმენის შესახებ.

მუხლი 3. სტუდენტის დატვირთვა. სასწავლო განრიგი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. სტუდენტის დატვირთვას გამოხატავს კრედიტი - ერთეული, რომელიც მოიცავს დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს. საკონტაქტო საათი არის პროგრამის პერსონალის ჩართულობით სტუდენტის საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, დამოუკიდებელი საათი არის პროგრამის პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის საქმიანობის დრო. დამატებითი გამოცდისთვის/დაცვისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება), კონსულტაციებისთვის განსაზღვრული დრო არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (51-100 ქულა);

2. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: არანაკლებ 240 კრედიტი
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები: არანაკლებ 120 კრედიტი

2. სწავლის ხანგრძლივობა. სწავლის ვადის გაგრძელება (დამატებითი სემესტრი)

1. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ხანგრძლივობა (ძირითადი ვადა)

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: 8 სემესტრი
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები: 4 სემესტრი

2. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის ვადის გაგრძელება (დამატებითი სემესტრები)

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: +4 სემესტრი
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები: +2 სემესტრი

დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება დასაშვებია, თუ ამ ვადაში იქნება შესაძლებელი პროგრამის მოთხოვნების შესრულებით კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების მიღება (აკადემიურ წელს არაუმეტეს 75 კრედიტის პირობით).

3. სტუდენტის დატვირთვა. სასწავლო განრიგი

1. ზნსუ-ში:

- 1 კრედიტი = 26 საათს (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს);
- 1 აკადემიური საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს. ერთ აკადემიურ საათში მოიაზრება: 50 წუთი სააუდიტორიო დრო + 10 წუთი შესვენება; • 1 აკადემიური წელი მოიცავს 2 სემესტრს - შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (24 კვირა) - და არა-

დეგებს მათ შორის; • სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების/დაცვების ჩატარებისა და დამატებით გამოც-

დებზე/დაცვებზე სტუდენტის შეფასების პერიოდის ჩათვლით; • სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელ-

ლი აქტივობების ერთობლიობას; • 1 აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრა-

მის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა;

2. ზნსუ უფლებამოსილია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის პროცესი განხორციელოს არასრული დატვირთვით: ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს, ხოლო სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში - დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა;

3. საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების საფუძველზე ერთი სემესტრისათვის შედგენილი ცხრილების მიხედვით, რომლებიც განთავსებულია ზნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და/ან ვებგვერდზე.

4. ინდივიდუალური სასწავლო განრიგი

1. ზნსუ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო ჯგუფებისთვის დადგენილი განრიგით (მეცადინეობების, გამოცდების, კონსულტაციების ცხრილებით). განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საპატიო მიზეზის გამო შეუძლებელია ამ განრიგის დაცვა, სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით: ა) სტუდენტი შეძლებს სხვა სასწავლო ჯგუფ(ებ)ისთვის დადგენილ დღეებში/საათებში მეცადინეობებზე და კონსულტაციებზე დასწრებას, გამოცდებზე/დაცვებზე და დამატებით გამოცდებზე/დაცვებზე გასვლას; ბ) შეიძლება შემუშავდეს ინდივიდუალური განრიგი;

2. ინდივიდუალური განრიგი შემუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის დაჩენილ ვადაში შესაძლებელი პროგრამის კომპონენტებით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. ინდივიდუალური განრიგი არ უნდა აღემატებოდეს იმ სემესტრის ხანგრძლივობას, რომლისთვისაც ეს განრიგი შემუშავდება. ინდივიდუალური განრიგის ვადები განისაზღვრება შემდეგი წესის დაცვით:

- სასწავლო კურსი: საკონტაქტო მეცადინეობები, სემესტრული მიმდინარე შეფასებები და შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს დასკვნითი გამოცდების პერიოდის დაწყებამდე. სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი ა) და-



სკვნიითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი გამოცდის ჩატარება, ბ) დამატებით გამოცდაზე სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება;

- პრაქტიკა: სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი ა) საჯარო დაცვის/გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი დაცვის/გამოცდის ჩატარება, ბ) დამატებით დაცვაზე/გამოცდაზე სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება;
 - საბაკალავრო ნაშრომი: სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი ა) საჯარო დაცვის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი დაცვის ჩატარება, ბ) დამატებით დაცვაზე სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება;
 - სამაგისტრო ნაშრომი: სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი ა) საჯარო დაცვის ჩატარება, ბ) სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება.
3. სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მას მიეწოდება ინფორმაცია ინდივიდუალური განრიგის შესახებ. ასევე, მას შეუძლია მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური განრიგის შემუშავების პროცესში.

5. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების საცურაო პრაქტიკა

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების შეძენისა და საცურაო გამოცდილების მიღების ხელშეწყობის მიზნით. წესი ითვალისწინებს პროგრამის საცურაო პრაქტიკის მიზნებისთვის საზღვაო რეისში შესრულებული სამუშაოს და მიღწეული კომპეტენციების აღიარების შესაძლებლობას;
2. საზღვაო რეისში გასვლამდე სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანს. განცხადებას უნდა დაერთოს საზღვაო რეისში გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. ფაკულტეტის დეკანი და დარგის სპეციალისტები განიხილავენ სტუდენტის განცხადებას და თანდართულ დამადასტურებელ დოკუმენტებს და ადგენენ რამდენად შესაძლებელი იქნება საზღვაო რეისში ყოფნის ხანგრძლივობა და შესასრულებელი სამუშაო ჩაითვალოს პრაქტიკის ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოდ. მიღებული დასკვნა ეცნობა სტუდენტს. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სტუდენტისთვის უნდა იყოს ცნობილი, რომ საზღვაო რეისში მის მიერ შესრულებული სამუშაო არ ჩაითვლება პროგრამის საცურაო პრაქტიკის მიზნებისთვის და არ იქნება განხილული რეისიდან დაბრუნების შემდგომ წარდგენილი საბუთები. დადებითი დასკვნის შემთხვევაში სტუდენტს უნდა განემარტოს ამ მუხლში მითითებული პირობები და წესები. საზღვაო რეისში მყოფ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ელ.ფოსტა, რომლის მეშვეობით მას შეეძლება ბნსუ-სთან დაკავშირება, ინფორმაციის, კონსულტაციების, საჭიროების შემთხვევაში - სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო მასალების ელ. ვერსიების მიღება და ა.შ.;
4. საზღვაო რეისში შესრულებული სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება დაკმაყოფილებული ყველა ქვემოთ მითითებული პირობა, კერძოდ:
 - საზღვაო რეისში გასვლამდე სტუდენტმა განცხადებით მიმართა ფაკულტეტის დეკანს და წარადგინა რეისში გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი; • განცხადების წარდგენის მომენტისთვის სტუდენტს აქვს აქტიური სტატუსი;
 - სტუდენტს შესრულებული აქვს საცურაო პრაქტიკის წინაპირობები (მითითებულია საცურაო პრაქტიკის სილაბუსში);
 - სტუდენტის მიერ საზღვაო რეისში შესრულებული სამუშაო შეესაბამება საცურაო პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ მიზნებს და დაგეგმილ შედეგებს; • სტუდენტის მიერ საზღვაო რეისში შესრულებული სამუშაოს მოცულობა გამოხატული ასტრონომიულ საათებში (მიიჩნევა სა-

კონტაქტო საათებად) არ არის ნაკლები საცურაო პრაქტიკის სილაბუსში მითითებული საკონტაქტო საათების რაოდენობისა (საკონტაქტო საათების რაოდენობის გამოთვლის წესი: 01 კვირაში 40 სთ x საზღვაო რეისში გატარებული კვირების რაოდენობაზე. თუ გამოთვლის შედეგად მიღებული საათების რაოდენობა აღემატება სილაბუსში მითითებულ საათებს, მაშინ სტუდენტს ჩაეთვლება მხოლოდ სილაბუსში მითითებული (ნორმირებული) საკონტაქტო საათების რაოდენობა); • სტუდენტმა ბნსუ-ში არსებული მოთხოვნების შესაბამისად აწარმოა პრაქტიკის დღიური და მოამზადა პრაქტიკის ანგარიში (თუ

სილაბუსით გათვალისწინებულია პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა); • საზღვაო რეისიდან დაბრუნებისთანავე სტუდენტმა ფაკულტეტის დეკანს წარუდგინა: ა) რეისში ყოფნის დამადასტურებელი

დოკუმენტი (საზღვაო რეისში ყოფნის ვადების მითითებით); ბ) პრაქტიკის დღიური და პრაქტიკის ანგარიში (თუ სილაბუსით გათვალისწინებულია პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა); გ) საზღვაო რეისში ყოფნისას მისი უშუალო ხელმძღვანელის (მიიჩნევა პრაქტიკის მენეჯერად) დასკვნა, სადაც მითითებულია სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო, დახასიათება და შეფასება (მიიჩნევა შუალედურ შეფასებად, ფასდება საცურაო პრაქტიკის სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემის შესაბამისად);

- ზემოთ მითითებული დოკუმენტების წარდგენა მოხდა ისეთ ვადაში, რომ სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ პერიოდში შესაძლებელია წარდგენილი დოკუმენტების შესწავლა, პრაქტიკის ანგარიშის შეფასება, საჯარო დაცვის/დასკვნითი გამოცდის ჩატარება, საჯარო დაცვის/გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი დაცვის/გამოცდის ჩატარება, სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება; • შუალედური შეფასების (ქულის) გათვალისწინებით შესაძლებელია დაცვაზე/დასკვნითი გამოცდაზე სტუდენტის დაშვება.

5. გადაწყვეტილება საზღვაო რეისში შესრულებული სამუშაოს, წარმოდგენილი პრაქტიკის დღიურისა და ანგარიშის საცურაო პრაქტიკის მიზნებისთვის ჩათვლის, საჯარო დაცვაზე/დასკვნითი გამოცდაზე სტუდენტის დაშვების შესახებ მიიღება ფაკულტეტის დეკანის მიერ დარგის სპეციალისტებისგან შექმნილი ჯგუფის დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე. ჯგუფი შეისწავლის საზღვაო რეისში შესრულებული სამუშაოს სპეციფიკას და მოცულობას, წარმოდგენილი პრაქტიკის დღიურის და ანგარიშის შესაბამისობას საცურაო პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ მოთხოვნებთან, საზღვაო რეისში სტუდენტის უშუალო ხელმძღვანელის მიერ მომზადებულ დასკვნას, შუალედურ შეფასებას და სხვ. ასევე, ჯგუფი აფასებს პრაქტიკის ანგარიშს. საჯარო დაცვაზე/დასკვნითი გამოცდაზე სტუდენტის დაშვება, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ზემოთ მითითებული მოთხოვნა და დაცვაზე/გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (შუალედურ შეფასებაში გადალახულია მინიმალური ობიექტების ზღვარი). საჯარო დაცვა/დასკვნითი გამოცდა და დამატებითი დაცვა/გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც საცურაო პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ, ისე განსხვავებულ თარიღში (ამ შემთხვევაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო განრიგის შემუშავების წესი);

6. სტუდენტს, რომელიც არ იქნება დაშვებული საჯარო დაცვაზე/დასკვნითი გამოცდაზე, პროგრამის კომპონენტში „საცურაო პრაქტიკა“ უფიქსირდება შეფასება F (0 ქულა). საცურაო პრაქტიკაში კრედიტი მიღებულად ჩაითვლება, თუ შუალედური და დასკვნითი შეფასების ქულათა დაჯამებით გროვდება ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა;

7. საზღვაო რეისში გასვლის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა საკრუინგო კომპანიასთან/სხვა დამსაქმებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება/კონტრაქტი/სხვ. საზღვაო რეისში ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა საკრუინგო კომპანიის/სხვა დამსაქმებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა/სხვ. საზღვაო რეისში გასვლის/რეისში ყოფნის და-



მადასტურებელ დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული: 1) იურიდიული პირის შეთხვევაში - დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის გაცემის თარიღი, ინფორმაცია სტუდენტის საზღვაო რეისში გასვლის და რეისიდან დაბრუნების თარიღების შესახებ, ცნობა უნდა დასტურდებოდეს ხელმოწერის უფლებამოსილი პირის (მისი ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით; 2) ფიზიკური პირის (სტუდენტის უშუალო ხელმძღვანელი, გემის კაპიტანი, ცნობის გაცემის და ხელმოწერის სხვა უფლებამოსილი პირი) შეთხვევაში - დოკუმენტის გამცემის სახელი და გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი), დოკუმენტის გაცემის თარიღი და საფუძველი, ინფორმაცია სტუდენტის საზღვაო რეისში გასვლის და რეისიდან დაბრუნების თარიღების შესახებ, დოკუმენტი უნდა დასტურდებოდეს გამცემი პირის ხელმოწერით. სტუდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოთხოვნილი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება და საზღვაო რეისში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ ჩაითვლება პროგრამის საცურაო პრაქტიკის მიზნებისთვის (არ მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების, პრაქტიკის დღიურის და პრაქტიკის ანგარიშის განხილვა და სხვ.); 8. ბნსუ იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობა.

მუხლი 4. სტუდენტის შეფასება

1. შეფასების ძირითადი პრინციპები და მიზნები

1. სტუდენტის შეფასების ძირითადი პრინციპებია:

- საჯაროობის პრინციპი – შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის;
- გამჭვირვალობის პრინციპი – ინფორმაცია შეფასების სისტემის, შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების და შეფასების პერიოდულობის შესახებ უნდა იყოს სრული და ამომწურავი; • თანასწორობის პრინციპი – ყველა სტუდენტი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. თითოეულს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა კომპეტენციების გამოსავლენად; • სამართლიანობის პრინციპი – ყველა სტუდენტის შეფასება უნდა მოხდეს ერთიანი წესით.

2. შეფასების მიზანია განსაზღვროს სტუდენტის მიღწევების დონე და მათი შესაბამისობა პროგრამით დაგეგმილ შედეგებთან.

2. სტუდენტთა შეფასების წესი

1. ბნსუ-ში სტუდენტთა შეფასება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი 100-ქულიანი სისტემით:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91 – 100	A	ფრიადი
	81 – 90	B	ძალიან კარგი
	71 – 80	C	კარგი
	61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 – 60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41 – 50	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 – 0	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

2. პროგრამის სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი) შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურს (მრავალჯერადი) და დასკვნითს, რომელთა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას. ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაში შეფასების შუალედური ფორმის ხვედრითი წილია max 60 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარია: სასწავლო კურსი - min 21 ქულა, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი - min 31 ქულა), დასკვნითი ფორმის - max 40 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - min 20 ქულა). დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შეფასების შუალედურ ფორმამ გადამაბოძა აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კომპონენტში დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. Fx შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში უკვე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F (0 ქულა). შეფასების შედეგი გამოცხადდება: გამოცდის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 05 დღეში (სასწავლო კურსი), დაცვის ჩატარებდან - არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში (პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), დამატებითი გამოცდის/დაცვის ჩატარებდან - არაუმეტეს მომდევნო კალენდარულ დღისა (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი);

3. საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით (უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მაქსიმალური შესაძლო 100 ქულიდან 51 ქულას). სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომში Fx შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ამ შემთხვევაში მიღებული შეფასება არის საბოლოო შეფასება. სტუდენტს უფორმდება შეფასება F (0 ქულა) 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში. F შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. შეფასების შედეგი გამოცხადდება საჯარო დაცვის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში;

4. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;

5. პროგრამის კომპონენტი გათვალისწინებული სტუდენტის შეფასების სისტენა (შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები) მითითებული პროგრამის კომპონენტის პროგრამაში (სილაბუსში).

3. აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA

ქვემოთ მოცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (კოეფიციენტების) გაანგარიშების მიზანია ბნსუ-ში მიღებული შეფასებების აღიარების გამარტივება იმ უსდ-ის მიერ, რომელიც იყენებს საქართველოში მოქმედისგან განსხვავებულ, მათ შორის, GPA (Grade Point Average) შეფასების სისტემას, და საქართველოში მოქმედ შეფასების სისტემასთან ასეთ უსდ-ში მიღებული შეფასებების თავსებადობის დადგენა. სემესტრის/აკადემიური წლის GPA დამოკიდებულია სემესტრში/აკადემიური წლის განმავლობაში მისაღ-



ბი და სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების რაოდენობაზე და პროგრამის კომპონენტებში მიღებულ შეფასებებზე (ქულაზე). ქვემოთ მოცემული გამოთვლები შესრულდება დამატებითი გამოცდების/დაცვების ჩატარების შემდეგ, რადგან Fx შეფასების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე/დაცვაზე მიღებული შეფასებით შეიძლება დაუგროვდეს ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა (კრედიტი ჩათვალოს მიღებულად). გაანგარიშებისას მიღებული ციფრები მრავალდება შემდეგი პრინციპით: ოთხი და ოთხს ქვევით - სიმცირისაკენ, ხოლო ხუთი და ზევით - მეტობისაკენ.

1. პროგრამის კომპონენტის/სასწავლო კურსის შეწონილი ნიშანი Course Weighted Mark (CWM) და GPA. პროგრამის კომპონენტის შეწონილი ნიშანი „CWM“ (Course Weighted Mark): პროგრამის კომპონენტში მიღებული შეფასების ქულა „GP“ (Grade Point, ქვემოთ მოცემული ცხრილის „4“ სვეტი) მრავლდება ამ კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე „CR“ (Credits) ანუ: $CWM = GP \times CR$ პროგრამის კომპონენტის GPA - პროგრამის კომპონენტში მიღებულ ქულას „GP“ (ქვემოთ მოცემული ცხრილის „3“ სვეტი) ენიჭება GPA-ს შესაბამისი მნიშვნელობა (ცხრილის „5“ სვეტი). მაგ.: თუ სტუდენტს მიღებული აქვს 96 ქულა, მაშინ $GPA=3.75$; თუ სტუდენტს მიღებული აქვს 51-ზე ნაკლები ქულა (არ აქვს მიღებული კრედიტი), მაშინ $GPA=0$.

2. სემესტრის საშუალოშეწონილი ქულა Sessional Weighted Average (SWA), სემესტრის GPA. სემესტრში ყველა მიღებული „CWM“ (პროგრამის კომპონენტების შეწონილი ნიშნები) იკრიბება და იყოფა სემესტრში მისაღები კრედიტების რაოდენობაზე $\Sigma CR=30$ (ან სხვა, რამდენზეც იყო დარეგისტრირებული სტუდენტი), ანუ: $SWA = \Sigma CWM / \Sigma CR = \Sigma (GP \times CR) / \Sigma CR$

სემესტრის GPA განისაზღვრება მიღებული SWA ქულის შესაბამისად (ცხრილის „6“ და „7“ სვეტები).

1) მაგ., სემესტრში მისაღები (დარეგისტრირებული) / მიღებული კრედიტები და მიღებული შეფასებები არის:

პროგრამის კომპონენტი:	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	
მიღებული GP (Grade Point)	73	67	68	73	71	69	74	
მისაღები CR (Credit Units)	5	5	6	4	5	2	3	$\Sigma CR = 30$
CWM (Course Weighted Marks)	365.00	335.00	408.00	292.00	355.00	138.00	222.00	$\Sigma CWM = 2115$

მაშინ: $SWA = \Sigma CWM / \Sigma CR = 2115/30 = 70.50 \approx 71$ (ცხრილის „6“ სვეტი) და სემესტრის GPA = 2.0 (ცხრილის „7“ სვეტი).

2) მაგ., სემესტრში მისაღები (დარეგისტრირებული) / მიღებული კრედიტები და მიღებული შეფასებები არის:

პროგრამის კომპონენტი:	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	
მიღებული GP (Grade Point)	73	67	68	73	0	0	0	
მისაღები CR (Credit Units)	5	5	6	4	5	2	3	$\Sigma CR = 30$
CWM (Course Weighted Marks)	365.00	335.00	408.00	292.00	0	0	0	$\Sigma CWM = 1400$

მაშინ: $SWA = \Sigma CWM / \Sigma CR = 1400/30 = 46.67 \approx 47$ (ცხრილის „6“ სვეტი) და სემესტრის GPA=0.25 (ცხრილის „7“ სვეტი).

3. აკადემიური წლის საშუალოშეწონილი ქულა Annual Weighted Average (AWA). აკადემიური წლის GPA. აკადემიური წლის განმავლობაში ყველა მიღებული „CWM“ (პროგრამის კომპონენტების შეწონილი ნიშნები) იკრიბება და იყოფა აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები კრედიტების რაოდენობაზე $\Sigma CR=60$ (ან სხვა, რამდენზეც იყო დარეგისტრირებული სტუდენტი), ანუ:

$$AWA = \Sigma CWM / \Sigma CR$$

აკადემიური წლის GPA განისაზღვრება მიღებული AWA ქულის შესაბამისად (ცხრილის „6“ და „7“ სვეტები).

4. საგანმანათლებლო პროგრამის კუმულატიური (დაგროვილი) საშუალოშეწონილი ქულა Cumulative Weighted Averages (CWA). საგანმანათლებლო პროგრამის GPA. მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას ყველა მიღებული CWM (პროგრამის კომპონენტების შეწონილი ნიშნები) იკრიბება და იყოფა პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობაზე ΣCR , ანუ:

$$CWA = \Sigma CWM / \Sigma CR$$

საგანმანათლებლო პროგრამის GPA განისაზღვრება მიღებული CWA ქულის შესაბამისად (ქვემოთ მოცემული ცხრილის „6“ და „7“ სვეტები). თუ სტუდენტს არ აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამის GPA = 0.

5. დიპლომის GPA. დიპლომის GPA უდრის საგანმანათლებლო პროგრამის GPA-ს. თუ სტუდენტს არ აქვს მიღებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მაშინ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის GPA = 0.

შეფასების მოქმედი 100-ქულიანი სისტემა				აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები)				
პროგრამის კომპონენტის				პროგრამის კომპონენტის			სემესტრის / აკადემიური წლის / საგანმანათლებლო პროგრამის	
შეფასება Course Grade		შეფასების ქულა Grade Point		Course Grade	შეფასების ქულა Grade Point (GP)	GPA	აკადემიური მოსწრების კოეფიციენტების (SWA / AWA / CWA) ქულები	GPA
1	2	3		4	5		6	7
ფრიადი	A	A+	100-98	A	100-98	4.00	100-98	4.00
		A	97-95		97-95	3.75	97-95	3.75
		A-	94-91		94-91	3.50	94-91	3.50
ძალიან კარგი	B	B+	90-88	B	90-88	3.25	90-88	3.25
		B	87-85		87-85	3.00	87-85	3.00
		B-	84-81		84-81	2.75	84-81	2.75
კარგი	C	C+	80-78	C	80-78	2.50	80-78	2.50
		C	77-75		77-75	2.25	77-75	2.25
		C-	74-71		74-71	2.00	74-71	2.00
დამაკმაყოფილებელი	D	D+	70-68	D	70-68	1.75	70-68	1.75
		D	67-65		67-65	1.50	67-65	1.50
		D-	64-61		64-61	1.25	64-61	1.25
საკმარისი	E	E+	60-58	E	60-58	1.00	60-58	1.00
		E	57-55		57-55	0.75	57-55	0.75
		E-	54-51		54-51	0.50	54-51	0.50
ვერ ჩააბარა	Fx	41-50	≤50 = 0	F	≤50 = 0	0.00	≤50	0.25
ჩაიჭრა	F	0-40					0	0.00

ზემოთ მოცემულ შეფასების სისტემაში „-“ და „+“ გრადაციები და შესაბამისი ქულები შემოღებულია საქართველოსში მოქმედი



სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემის ფარგლებში სტუდენტის მიღწევების უკეთ წარმოჩენისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (შეფასების კოეფიციენტების) უფრო დეტალურად გამოთვლის მიზნით:

მუხლი 5. მობილობა, შიდა მობილობა

ბნსუ-ში უმაღლესი (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბნსუ-ს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) სტუდენტებისთვის. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და ბნსუ-ში მოქმედი წესების დაცვით. ბნსუ-ში მობილობით ვერ ჩაირიცხება პირი, რომლის მიმართ უსდ-ში არსებობს ბრძანება სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია ბნსუ-ს შინაგანაწესთან და მიიჩნევა ქვევის წესების უხეშ დარღვევად, რომლისთვისაც ბნსუ-ში გათვალისწინებულია სტატუსის შეწყვეტის დისციპლინური საწესი. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ მობილობისთვის ყველა უსდ-სთვის დადგენილ ვადებში. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც უსდ-ში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის მომენტისათვის არის უსდ-ს სტუდენტი, აქვს შეჩერებული სტუდენტის სტატუსი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ (სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი). 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში, ამ ვადაში მას უფლება აქვს ისარგებლოს მობილობის უფლებით თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ წარმოადგენს უსდ-ს წესდებით/შინაგანაწესით დადგენილ სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. პირი, რომელსაც გაეკლილი პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს აქვს უფლება გადაედეს სხვა უსდ-ში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი. ასევე, რეგულირებადი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. შიდა მობილობას ბნსუ-ს სტუდენტი ახორციელებს ბნსუ-ში უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, ბნსუ-ში შიდა მობილობა შეიძლება გამოცდადდეს წელიწადში 2-ჯერ ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში (როგორც წესი, ეთხვევა გარე მობილობის ვადებს). სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების თავსებადობა ბნსუ-ს პროგრამასთან დადგინდება ბნსუ-ში მოქმედი (კრედიტების აღიარების) წესით. ბნსუ უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები და მოითხოვოს იმ სასწავლო კურსების სილაბუსების წარდგენა, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს კრედიტი. შესწავლილი და ბნსუ-ს პროგრამებს შორის თავსებადობის არარსებობა შეიძლება იყოს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის შემდეგ მიღებულ დასაბუთებულ დასკვნაში იქნება მითითებული რომელი სასწავლო კურსები და რამდენი კრედიტი არის აღიარებული, რომელი სემესტრიდან არის რეკომენდებული სწავლის გაგრძელება. დასკვნა ეცნობა მობილობის მსურველს, დასკვნის და სტუდენტის თანხმობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორის მიერ გამოიცემა ჩარიცხვის ერთიანი ბრძანება ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ, ხოლო იმ უსდ-ს მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა უსდ-ში ჩარიცხული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და სტუდენტის მიმართვის შემდეგ გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მოხდა ჩარიცხვა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. თუ ბნსუ-ს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ბნსუ-ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ მის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომელთა შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების შედეგები (რანჟირებული ქულები) ადგებატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. სტუდენტს შეუძლია მობილობის წესით მიმღებ უსდ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა, თუ მიმღებ უსდ-ში არ არის გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება. ამ დროს სტუდენტს შეუძლია წერილობით მიმართოს მიმღებ უსდ-ს და უარი განაცხადოს მიმღებ უსდ-ში სწავლის გაგრძელებაზე. თუ ჩარიცხვის შესახებ ბრძანება უკვე გამოცემულია, მაშინ სტუდენტი ითვლება მიმღები უსდ-ს სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ უსდ-ში.

მუხლი 6. განათლების (კრედიტების) აღიარების წესი

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. წინამდებარე წესით ბნსუ იღებს გადაწყვეტილებას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის სტუდენტის მიერ მიღებული განათლების (კრედიტების და შეფასებების) აღიარების შესახებ;
2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება გულისხმობს უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას. უცხოეთის უსდ-ში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უსდ-ში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის საქართველოს უსდ-ში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე იღებს შესაბამისი უსდ. უცხოეთის უსდ-ის პროგრამის სასწავლო კურსების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება ფორმდება საქართველოს უსდ-ს მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მითითდება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი პროგრამის შესაბამისობა უსდ-ის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
3. ბნსუ აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს და კვალიფიკაციებს, ასევე წინამდებარე წესით აღიარებს ამ დაწესებულებების მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებულ კრედიტებს და შეფასებებს;
4. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება:
 - ბნსუ უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დამლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის;



- აღიარებას ექვემდებარება იმ უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - კრედიტების აღიარების მიზნით ბნსუ ადგენს პირის მიერ უმადლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების შესაბამის უმადლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;
 - უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
 - ბნსუ უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ECTS შესაბამისად;
 - კრედიტების აღიარება ხდება ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით;
 - მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში შესაბამისი კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.
5. ბნსუ-ს მიერ სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება ეფუძნება მათ შესაბამისობას ბნსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან. აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ უმადლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები აღიარდება ბაკალავრიატის პროგრამის მიზნებისთვის. მობილობისას დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის პროგრამების კრედიტები აღიარდება ბაკალავრიატის პროგრამასთან თავსებადად;
7. ბნსუ უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით სწავლის გაგრძელების მსურველის კომპეტენციების თავსებადობა ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამასთან;
8. მიღებული კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ში არჩეული საბაკალავრო პროგრამების კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით: კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს: მიღებული კრედიტების პირდაპირ აღიარების, პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის ან კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე. ბნსუ-ს პროგრამასთან წულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევაში - 1) ეს არის ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი, ან 2) პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამა;
9. შეიძლება იყოს აღიარებული არასპეციალობის და სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების (მათ შორის ე.წ. „თავისუფალი კრედიტების“) და პროგრამის სხვა კომპონენტების კრედიტები (გარდა საბაკალავრო ნაშრომისა);
10. სტუდენტის მიერ შესწავლილი ა) არასპეციალობის და ბ) სპეციალობის სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს შესაბამისად ა) არასპეციალობის ან „თავისუფალი კრედიტების“ (თუ ბნსუ-ს პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტებს) და ბ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების სახით - 1) თუ ამის შედეგად აღიარებული კრედიტების რაოდენობა გაუტოლდება ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით არჩევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების ჯამურ რაოდენობას, მაშინ სტუდენტი არ არის ვალდებული შეისწავლოს ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული, შესაბამისად ა) არასპეციალობის და ბ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები; 2) თუ სტუდენტის მიერ მიღებული არჩევითი კრედიტების რაოდენობა მეტია ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით, მაშინ სტუდენტის არჩევანის შესაბამისად აღიარებული იქნება მხოლოდ ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით არჩევითი (შესაბამისად - არასპეციალობის, სპეციალობის) კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების ნორმირებული რაოდენობა;
11. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი პროგრამა ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის პროგრამას და სტუდენტს სრულად აქვს მიღებული ამ პროგრამის კრედიტები, მაშინ დამატებითი სპეციალობის პროგრამა აისახება დიპლომის დანართში. ხოლო, თუ დამატებითი სპეციალობის პროგრამის კრედიტები არ არის სრულად მიღებული, მაშინ ხდება ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამისა და სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსების შედარება მათი აღიარების შესაძლებლობის დადგენის მიზნით;
12. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას - მაშინ ავტომატურად ხდება სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის აღიარება;
13. თუ შესწავლილი არასპეციალობის სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებას - მაშინ შესაძლებელია მათი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად (მაგ. „ფსიქოლოგია“ შეიძლება იყოს აღიარებული როგორც „შესავალი ფსიქოლოგიაში“ ან „ფსიქოლოგიის საფუძველები“);
14. თუ შესწავლილი არასპეციალობის სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია ბნსუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ - ა) 01 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესაძლებელია შესწავლილი სასწავლო კურსის მიენიჭოს მეტი კრედიტი; ბ) 02 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესწავლილი სასწავლო კურსის და ბნსუ-ს ანალოგიური სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის შემთხვევაში შესწავლილი სასწავლო კურსს მიენიჭოს ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; გ) 02 კრედიტზე მეტი განხვავების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტების აღიარება;
15. თუ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტი ნაკლებია ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტზე, მაშინ - ა) 01 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესწავლილი სასწავლო კურსს/პროგრამის სხვა კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; ბ) 02 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/მიმართადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე შესწავლილი სასწავლო კურსს/პროგრამის სხვა კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; გ) 02 კრედიტზე მეტი განხვავების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტების აღიარება;
16. თუ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელება არ ემთხვევა ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელებას - მაშინ შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/მიმართადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შესაბამისობა და მოხდეს მისი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
17. თუ შესწავლილი სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტების რაოდენობას - მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამა;



18. პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უდიარდება ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის მიზნებისათვის;

19. სწავლის გაგრძელების რეკომენდებული სემესტრის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა და ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შესწავლის წინაპირობები. სემესტრის განსაზღვრისას, ასევე, მხედველობაში მიიღება, რომ სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ს მიერ აღიარებული სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი შეიძლება იყოს გათვალისწინებული ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამის მომდევნო სემესტრებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს გარკვეული (ქვემოთ მითითებული ან ქვემოთ მითითებულისგან განსხვავებული) სემესტრიდან:

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	0-16	17-40	41-60	61-80	81-100	101-130	131-180	181 და მეტი
რეკომენდებული სემესტრი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII + დამატ. სემ.-(ებ)ი

20. აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან და პროგრამის კომპონენტების წინაპირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრ(ებ)ის გავლა და სწავლის გაგრძელება წინამდებარე დებულებით დადგენილი სწავლის გაგრძელების ვადით;

21. იმ შემთხვევაში, თუ ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამაში, რომლითაც სწავლას აგრძელებს სტუდენტი, მისი ჩარიცხვის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება, მაშინ ხდება სხვა უსდ-ში უკვე მიღებული კრედიტებისა და ბნსუ-ს მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის თავსებადობის განმეორებითი შესწავლა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. თავსებადობის შემთხვევაში დამატებითად აღიარებული იქნება სხვა უსდ-ში სტუდენტის მიერ მიღებული იმ სასწავლო კურსების კრედიტები, რომელთა აღიარება არ მოხდა ბნსუ-ში სტუდენტის ჩარიცხვის დროს;

22. თუ უსდ, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა სტუდენტი, იყენებს/იყენებდა ECTS-ისგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია უსდ-ში მოქმედი საკრედიტო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS-სთან;

23. ბნსუ უფლებამოსილია გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შედგენილი ECTS-ს შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხდება მითითებული აკადემიური/საკონტაქტო საათების ანალიზი, რის შედეგად სასწავლო კურსებს ენიჭებათ კრედიტები შემდეგი წესის მიხედვით:

- თუ მითითებულია საკონტაქტო (სს) და დამოუკიდებელი (დს) საათები, მაშინ მათი ჯამი გაიყოფა 26-ზე (ბნსუ-ში 1 კრედიტი = 26 სთ.) ანუ კრედიტი = (სს + დს) / 26;
- თუ მითითებულია მხოლოდ საკონტაქტო საათები, მაშინ: ა) მოხდება მათი შედარება ბნსუ-ს ანალოგიურ სასწავლო კურსთან/პროგრამის კომპონენტთან და კრედიტი მიენიჭება ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად, ბ) ბნსუ-ში ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ჩათვლება საკონტაქტო საათების ტოლად ანუ კრედიტი = 2 x სს / 26;
- გამოთვლების შედეგად მიღებული რიცხვი მრგვალდება მთელ რიცხვამდე დამრგვალების წესის შესაბამისად.

24. ბნსუ უფლებამოსილია მოახდინოს სხვა უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემის და სასწავლო ბარათში მითითებული შეფასებების ანალიზი და მათი გადაყვანა საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემის ქულებზე, რაც ხდება შემდეგი წესების დაცვით:

- 5-ბალიანი სისტემის ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:

5-ბალიანი სისტემა		შეფასება საქართველოში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად		
ფრიადი	5	100	A	ფრიადი
კარგი	4	80	C	კარგი
დამაკმაყოფილებელი	3	70	E	დამაკმაყოფილებელი
არადამაკმაყოფილებელი	2-0	0	F	ჩაიჭრა

- თუ სტუდენტს მიღებული აქვს: 1) ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“ (ნიშნის მითითებით), მაშინ ხდება მისი გადაყვანა 5-ბალიანი სისტემიდან 100-ქულიან სისტემაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გათვალისწინებით ზემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად; 2) ე.წ. „ჩათვლა“ (ნიშნის გარეშე), მაშინ ხდება მისი გადაყვანა 100-ქულიან სისტემაზე მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100 ქულა).
- განსხვავებული შეფასების სისტემის ბნსუ-ში მოქმედ სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:

○ 100-ქულიან სისტემაზე განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული შეფასების (ქულის) გადაყვანა ხდება ფორმულით:

$GP = \frac{a \times 100}{A}$	GP - ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაზე გადმოყვანილი შეფასება (ქულა);
	100 - ბნსუ-ში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა);
	A- სხვა შეფასების სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა);
	a- სხვა შეფასების სისტემით მიღებული შეფასება (ქულა).

- GPA-ზე (შესაბამისად, 100-ქულიან სისტემაზე) განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული GPA-ს გადაყვანა ხდება ქვემოთ მოცემული ფორმულით (შეფასების ქულა განისაზღვრება მიღებული GPA-ს ქულის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე დებულების „აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA“):

$GPA = \frac{4 \times gpa}{gpa_{max}}$	GPA - ბნსუ-ს GPA-ზე გადმოყვანილი ქულა;
	4 - ბნსუ-ს GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა
	gpa - სხვა შეფასების სისტემით მიღებული Grade Point Average (GPA);
	gpa _{max} - სხვა შეფასების სისტემაში GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა.

25. კრედიტების აღიარების აქტი ფორმდება მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ შესწავლილი პროგრამის შესაბამისობა (თავსებადობა) ბნსუ-ს საბაკალავრო პროგრამასთან. დასკვნაში მიეთითება აღიარებული სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების დასახელებები და კრედიტების რაოდენობა და რეკომენდაცია სწავლის გაგრძელების სემესტრის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობა დანიტერესებულ პირს, რომელიც ადასტურებს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას ან უარს ამბობს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. წინამდებარე წესით ბნსუ იღებს გადაწყვეტილებას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის სტუდენტის მიერ მიღებული განათლების (კრედიტების და შეფასებების) აღიარების შესახებ;
2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება გულისხმობს უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას და საგანმანათლებლო



დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას. უცხოეთის უსდ-ში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უსდ-ში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის საქართველოს უსდ-ში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე იღებს შესაბამისი უსდ, უცხოეთის უსდ-ის პროგრამის სასწავლო კურსების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება ფორმდება საქართველოს უსდ-ს მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მითითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი პროგრამის შესაბამისობა უსდ-ის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

3. ბნსუ აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს და კვალიფიკაციებს, ასევე წინამდებარე წესით აღიარებს ამ დაწესებულებების მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებულ კრედიტებს და შეფასებებს;

4. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება:

- ბნსუ უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დამლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის;
- აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- კრედიტების აღიარების მიზნით ბნსუ ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
- ბნსუ უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ECTS შესაბამისად;
- კრედიტების აღიარება ხდება ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით;
- მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში შესაბამისი კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

5. ბნსუ-ს მიერ სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება ეფუძნება მათ შესაბამისობას ბნსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან. აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. ბნსუ უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით სწავლის გაგრძელების მსურველების კომპეტენციების თავსებადობა ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამასთან;

7. მიღებული კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ში არჩეული სამაგისტრო პროგრამების კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით: კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს: მიღებული კრედიტების პირდაპირ აღიარების, პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის ან კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე. ბნსუ-ს პროგრამასთან ნულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევაში - 1) ეს არის ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი, ან 2) პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამა;

8. შეიძლება იყოს აღიარებული არასპეციალობის და სპეციალობის/სპეციალიზაციის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების და პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტების კრედიტები. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების აღიარება არ ხდება;

9. სტუდენტის მიერ შესწავლილი ა) არასპეციალობის/არასპეციალიზაციის და ბ) სპეციალობის/სპეციალიზაციის სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს შესაბამისად ა) არასპეციალობის/არასპეციალიზაციის და ბ) სპეციალობის/სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტების სახით - 1) თუ ამის შედეგად აღიარებული კრედიტების რაოდენობა გაუტოლდება ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით არჩევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების ჯამურ რაოდენობას, მაშინ სტუდენტი არ არის ვალდებული შეისწავლოს ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული, შესაბამისად ა) არასპეციალობის/არასპეციალიზაციის და ბ) სპეციალობის/სპეციალიზაციის არჩევითი სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა სასწავლო კომპონენტები; 2) თუ სტუდენტის მიერ მიღებული არჩევითი კრედიტების რაოდენობა მეტია ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით, მაშინ სტუდენტის არჩევანის შესაბამისად აღიარებული იქნება მხოლოდ ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით არჩევითი (შესაბამისად - არასპეციალობის/არასპეციალიზაციის, სპეციალობის/სპეციალიზაციის) კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების ნორმირებული რაოდენობა;

10. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას - მაშინ ავტომატურად ხდება სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის აღიარება;

11. თუ შესწავლილი არასპეციალობის/არასპეციალიზაციის სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ბნსუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებას - მაშინ შესაძლებელია მათი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად (მაგ. „ფსიქოლოგია“ შეიძლება იყოს აღიარებული როგორც „შესავალი ფსიქოლოგიაში“ ან „ფსიქოლოგიის საფუძველები“);

12. თუ შესწავლილი არასპეციალობის/არასპეციალიზაციის სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია ბნსუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ - ა) 01 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესაძლებელია შესწავლილი სასწავლო კურსის მიენიჭოს მეტი კრედიტი; ბ) 02 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესწავლილი სასწავლო კურსის და ბნსუ-ს ანალოგიური სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის შემთხვევაში შესწავლილი სასწავლო კურსს მიენიჭოს ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; გ) 02 კრედიტზე მეტი განსხვავების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტების აღიარება;

13. თუ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტი ნაკლებია ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტზე, მაშინ - ა) 01 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესწავლილი სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; ბ) 02 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/მირითადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე შესწავლილი სას-



წავლო კურსს/პროგრამის სხვა კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; გ) 02 კრედიტზე მეტი განხვავების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტების აღიარება;

14. თუ შესწავლილი მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა პროგრამის კომპონენტის დასახელება არ ემთხვევა ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის დასახელებას - მაშინ შინაარსობრივი შესწავლის (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/მირითადი ლიტერატურის და სწავლის შედეგების შედარების) საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შესაბამისობა და მოხდეს მისი აღიარება სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

15. თუ შესწავლილი სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ანალოგიური კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის კრედიტების რაოდენობას - მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამა;

16. პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამის მიზნებისათვის;

17. სწავლის გაგრძელების რეკომენდებული სემესტრის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა და ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შესწავლის წინაპირობები. სემესტრის განსაზღვრისას, ასევე, მხედველობაში მიიღება, რომ სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ს მიერ აღიარებული სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი შეიძლება იყოს გათვალისწინებული ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამის მომდევნო სემესტრებში. აღნიშნული გათვალისწინებით, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს გარკვეული (ქვემოთ მითითებული ან ქვემოთ მითითებულისგან განსხვავებული) სემესტრიდან:

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	0-29	30-59	60-89	90 და მეტი
რეკომენდებული სემესტრი	I	II	III	IV

18. აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან და პროგრამის კომპონენტების წინაპირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრ(ებ)ის გავლა და სწავლის გაგრძელება წინამდებარე დებულებით დადგენილი სწავლის გაგრძელების ვადით;

19. იმ შემთხვევაში, თუ ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამა, რომლითაც სწავლას აგრძელებს სტუდენტი, მისი ჩარიცხვის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება, მაშინ ხდება სხვა უსდ-ში უკვე მიღებული კრედიტებისა და ბნსუ-ს მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის თავისებდობის განმეორებითი შესწავლა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. თავისებდობის შემთხვევაში დამატებითად აღიარებული იქნება სხვა უსდ-ში სტუდენტის მიერ მიღებული იმ სასწავლო კურსების კრედიტები, რომელთა აღიარება არ მოხდა ბნსუ-ში სტუდენტის ჩარიცხვის დროს;

20. თუ უსდ, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა სტუდენტი, იყენებს/იყენებდა ECTS-ისგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია უსდ-ში მოქმედი საკრედიტო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS-სთან;

21. ბნსუ უფლებამოსილია გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შედგენილი ECTS-ს შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხდება მითითებული აკადემიური/საკონტაქტო საათების ანალოზი, რის შედეგად სასწავლო კურსებს ენიჭებათ კრედიტები შემდეგი წესის მიხედვით:

- თუ მითითებულია საკონტაქტო (სს) და დამოუკიდებელი (დს) საათები, მაშინ მათი ჯამი გაიყოფა 26-ზე (ბნსუ-ში 1 კრედიტი = 26 სთ.) ანუ კრედიტი = (სს + დს) / 26;
- თუ მითითებულია მხოლოდ საკონტაქტო საათები, მაშინ: ა) მოხდება მათი შედარება ბნსუ-ს ანალოგიურ სასწავლო კურსთან/პროგრამის კომპონენტთან და კრედიტი მიენიჭება ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად, ბ) ბნსუ-ში ანალოგიური სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო საათების რაოდენობის ტოლად ანუ კრედიტი = 2 x სს / 26;
- გამოთვლების შედეგად მიღებული რიცხვი მრგვალდება მთელ რიცხვამდე დამრგვალების წესის შესაბამისად.

22. ბნსუ უფლებამოსილია მოახდინოს სხვა უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემის და სასწავლო ბარათში მითითებული შეფასებების ანალოზი და მათი გადაყვანა საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემის ქულაზე, რაც ხდება შემდეგი წესების დაცვით:

- 5-ბალანი სისტემის ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:

5-ბალანი სისტემა		შეფასება საქართველოში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად		
ფრიადი	5	100	A	ფრიადი
კარგი	4	80	C	კარგი
დამაკმაყოფილებელი	3	70	E	დამაკმაყოფილებელი
არადამაკმაყოფილებელი	2-0	0	F	ჩაიჭრა

- თუ სტუდენტს მიღებული აქვს: 1) ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“ (ნიშნის მითითებით), მაშინ ხდება მისი გადაყვანა 5-ბალანი სისტემიდან 100-ქულიან სისტემაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გათვალისწინებით ზემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად; 2) ე.წ. „ჩათვლა“ (ნიშნის გარეშე), მაშინ ხდება მისი გადაყვანა 100-ქულიან სისტემაზე მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100 ქულა).

- განსხვავებული შეფასების სისტემების ბნსუ-ში მოქმედ სისტემაზე პირობითი გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:

- 100-ქულიან სისტემაზე განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული შეფასების (ქულის) გადაყვანა ხდება ფორმულით:

$GP = \frac{a \times 100}{A}$	GP - ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაზე გადმოყვანილი შეფასება (ქულა); 100 - ბნსუ-ში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა); A - სხვა შეფასების სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა); a- სხვა შეფასების სისტემით მიღებული შეფასება (ქულა).
-------------------------------	--

- GPA-ზე (შესაბამისად, 100-ქულიან სისტემაზე) განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული GPA-ს გადაყვანა ხდება ქვემოთ მოცემული ფორმულით (შეფასების ქულა განისაზღვრება მიღებული GPA-ს ქულის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე დებულების „აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA“):

$GPA = \frac{4 \times gpa}{gpa_{max}}$	GPA - ბნსუ-ს GPA-ზე გადმოყვანილი ქულა; 4 - ბნსუ-ს GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა gpa - სხვა შეფასების სისტემით მიღებული Grade Point Average (GPA); gpa _{max} - სხვა შეფასების სისტემაში GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა.
--	---



23. კრედიტების აღიარების აქტი ფორმდება მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ შესწავლილი პროგრამის შესაბამისობა (თავსებადობა) ბნსუ-ს სამაგისტრო პროგრამასთან. დასკვნაში მიეთითება აღიარებული სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების დასახელებები და კრედიტების რაოდენობა და რეკომენდაცია სწავლის გაგრძელების შემსუბუქების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობა დაინტერესებულ პირს, რომელიც ადასტურებს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას ან უარს ამბობს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების მიღების უწყვეტობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა

1. ბნსუ-ს მიერ მოქმედი პროგრამის არსებითი შეცვლის (მოდიფიცირების) ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში: ა) მოხდება ამ პროგრამის სტუდენტების წინასწარი ინფორმირება და აკადემიური წლის/სემესტრის დასრულებამდე მათ მიეცემათ მოქმედი (მოდიფიცირებამდე/გაუქმებამდე არსებული) პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; ბ) პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში სტუდენტებისთვის იქნება შეთავაზებული მოდიფიცირებული პროგრამით სწავლის გაგრძელება; გ) სტუდენტებისთვის იქნება შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან შიდამობილობით, უკვე მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების შესაძლებლობით, ბნსუ-ში უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის იმავე/მომიჯნავე სფეროს პროგრამით (არსებობის შემთხვევაში) სწავლის გაგრძელება. მითითებულ შემთხვევებში სტუდენტს შეუწარმობა განათლების მომსახურების ხელშეკრულებაში დადგენილი სწავლის საფასური პროგრამის შეცვლით გამოწვეული დამატებითი გადასახადების გარეშე;
2. სტუდენტი თავისუფალია თავის არჩევანში, მას შეუძლია: ა) მიიღოს ზემოთ მითითებული ბნსუ-ს შეთავაზება და სწავლა გააგრძელოს ბნსუ-ში; ბ) მოახდინოს მისთვის სასურველი პროგრამის არჩევა სხვა უსდ-ში და ისარგებლოს მობილობის უფლებით;
3. თუ სტუდენტმა უარი თქვა ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე და ზემოთ მითითებული სწავლის გაგრძელების ვადის გასვლის შემდეგ არ ისარგებლა მობილობის უფლებით, მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;
4. ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ბნსუ ადგენს გაუქმებული/შეცვლილი და სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამების თანხვედრას სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მიზნით;
5. სტუდენტის მიერ უკვე მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის გაუქმებამდე (ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად პროგრამით სწავლების შეწყვეტამდე) ბნსუ აფორმებს შეთანხმებას უსდ-სთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიურ/თავსებად პროგრამას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. ბნსუ-ს სტუდენტები, პროგრამის პერსონალი და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამების შემუშავებაში, პროგრამის განხორციელებაში და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოები, ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურები;
5. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე დებულების მუხლებს წინამდებარე აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.